სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 17

გორი

ერთიმხრივ, გორის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე თავზარაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: გორი გრიგოლ ფერაძის N5
საიდენტიფიკაციო კოდი: 218086087
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300843460

და მეორე მხრივ, შპს „ბილდინგ გრუფ“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გოგიაშვილის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: გორი, სოფ. კარალეთი #21
საიდენტიფიკაციო კოდი:№ 417889663
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები:სს. „ვითიბი ბანკი“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი:GE48 VT02 0000 0026 5736 05

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის დ) ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2019 წლის 26 მარტის №1649 განკარგულებისა (SMP190001616) და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 დეკემბრის N2499 და N2500 განკარგულებების საფუძველზე" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი
1. შესყიდვის ობიექტია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების, 2020 წელს განსახორციელებელი: **სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის მომსხურება.**
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები.

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი
1. შესყიდვის ობიექტია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების, 2020 წელს განსახორციელებელი: **შენობების სველი წერტილების, შიდა კმუნიკაციების/ელექტრო გაყვანილობის, სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარის, გარე კანალიზაციის მაგისტრალის და სანიტარული კვანძის მოწყობის საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის მომსხურება.**
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **36 450** (ოცდათექვსმეტი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2. პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების **% პროცენტის** ოდენობით, რაც წარმოდგენილი ფასევის ცხრილი - დანართი N1-ის სახით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

1. სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტისთვის წარდგენის ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით.

2. საჭირო შემთხვევაში, ცალკეული მომსახურების გაწევის ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, არაუმეტეს 10(ათი) კალენდარული დღის ვადით.

3. მომსახურების მიწოდების ადგილია: **გორი, ფერაძის #5.**

მუხლი 4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

4.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

ა) საპროექტო დოკუმენტაცია _ 3 ეგზემპლიარი ბეჭდური A-4 ფორმატი, A-3 ფორმატი არანაკლებ ერთი ეგზეპლიარი სპორტული მოედნების რეგილიტაციის შემთხვევაში.

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია _ 3 ეგზემპლიარი ბეჭდური A-4 ფორმატი;

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრონული ვერსია (PDF და Excel ფაილები).

CD/DWD დისკი;

დ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაო ელექტრონული ფაილები (Word, Excel, AutoCAD, ArchiCAD და სხვა).

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება იწარმოება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება, მიმწოდებელს პრეტენზია არ გააჩნია ხელშეკრულების აუთვისებელ ღირებულებასა და მის გადახდაზე.

მუხლი 6. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯეროვნად, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილი სტანდარტების, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

2. ამ მუხლში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 7. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1.მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

1.1 მიღება/ჩაბარება იწარმოებს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთათრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურებით.

1.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

2.შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე გადაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული, განსახორციელებელი სამუშაოების საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2.1 შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოითხოვოს პროექტის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა - ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2.2 ექსპერტიზის დასკვნის მომზადების ღირებულება ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველ პუნქტითა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების მე-3 მუხლსა და დეტალურ ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გადაცემული დეტალური ტექნიკური დავალებითა და პროექტირებას დაქვემდებარებული თითოეული ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადი ტექნიკური დავალებით_დანართი №2 გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ნებისმიერი უზუსტობა ან/და შეუსაბამობება აცნობოს შემსყიდველს;

დ) 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ან/და მისი დასრულების შემდგომ, ინსპექტირების (ექსპერტიზის) შედეგად გამოთქმული შენიშვნები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი შეუსაბამობები ნორმატიულ-ტექნიკური დეკუმენტებთან და ტექნიკური დავალების მოთხონებთან) ან წარმოადგინოს მათზე არგუმენტირებული პასუხები;

ე) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ წერილობითი მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდება;

ვ) საკვლევაძიებო და საველე სამუშაოების განხორციელებამდე, მინიმუმ 1 (ერთი) დღით ადრე აცნობოს შემსყიდველს ან შემსყიდველის მიერ შერჩეულ შესაბამის სფეროში აკრედიტირებულ კომპანიას (საექსპერტო ბიუროს), რომლებიც დაესწრებიან აღნიშნულ პროცესებს;

ზ) მომსახურების გაწევის პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

თ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ი) გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე;

კ) გადასცეს შემსყიდველს ყველა უფლება, მათ შორის, საავტორო უფლება, მის მიერ შემუშავებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე;

ლ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მუდმივად ჰყავდეს აყვანილი სპეციალისტების შემდეგი მინიმალური რაოდენობა:

- გუნდის ხელმძღვანელი - ინჟინერი - 1 სპეციალისტი;
- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი;
- სპეციალისტი - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის - 1 სპეციალისტი;

მ) საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის დროს უზრუნველყოს იმ სპეციალისტების წარმოდგენა, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში არ არის გათვალისწინებული. დამატებითი სპეციალისტების შესახებ ინფორმაცია, მიმწოდებელმა შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს შემსყიდველს;

ნ) საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების დროულად გაწევის მიზნით, უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, შემსყიდველის დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე, უზრუნველყოს სპეციალისტ(ებ)ის ჩანაცვლება სხვა უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს გადასცეს დეტალური ტექნიკური დავალება, რომელიც მოიცავს, მომსახურების გაწევის ვადებს, პროექტირებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელებას, მის ადგილმდებარეობას, საპროექტო მომსახურების ძირითადი სახეობებს, პროექტით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალს და მათ საორიენტაციო ღირებულებას;

გ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი გაწეული მომსახურება.

მუხლი9. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს გორია მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი

2. მომსახურების მიმდინარეობაზე შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიიღოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი10. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა

1. მიმწოდებლის მიერ პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაოების საორიენტაციო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
3. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.
3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.
4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.
5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვალდებულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ვ) პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა მიმწოდებლის მიერ დაირღვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

თ) დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურება სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

ი) ინსპექტირების (ექსპერტიზის) პირველ ეტაპზე გამოთქმული შენიშვნები არ იქნება აღმოფხვრილი, აღმოფხვრილი იქნება არასრულფასოვნად ან შესწორებული იქნება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შეუსაბამოდ, რაც დაფიქსირდება ინსპექტირების ხელმეორე ანგარიშში;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული საფუძვლებით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 13. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 14. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი

1. დასაშვებია მიმწოდებელმა დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებების ნაწილი, შემსყიდველთან შეთანხმებით, შესასრულებლად გადაეცეს ქვეკონტრაქტორ(ებ)ს, რომლებიც (რომელიც) არ უნდა იყვნენ რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“;
2. დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით, მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და გაწეული მომსახურების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
3. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი. შემსყდველის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, მიმოწოდებელი ვალდებულია, არ დაუშვას დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებების ნაწილის მითითებული ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ განხორიელება.
4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 15. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში info@gori.gov.ge), (მიმწოდებლის შემთხვევაში - ltd.horizont@gmail.com საშუალებით.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია

თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ელექტრონულად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
7. ხელშეკრულებას თან ერთვის ფასების ცხრილი_დანართი 1, ტექნიკური დავალება_დანართი 2 და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან **2020 წლის 15 მაისი ჩათვლით.**

მხარეთა ხელმოწერები:

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2020.01.24 15:58:34 +04'00'

შემსყიდველი: გორის მუნიციპალიტეტის მერი - კონსტანტინე თავზარაშვილი

მიმწოდებელი:

სკოლების სველი წერტილების მოწყობის საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფასების ცხრილი დანართი -N1

N	2020 წელს დაგეგმილი პროექტების დეტალური დასახელება	სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულ.	საპროექტო ღირებულება /პროცენტი %/	სამუშაოები
1	პატარა გარეჯვარის საჯარო სკოლა	50,000	2,250	4.5%	სანიტარული კვანძების მოწყობა შენობაში არსებულ ფართში
2	ატენის საჯარო სკოლა	110,000	4,950	4.5%	შიდა სან.ტექნიკური კვანძების რეაბილიტაცია, გარე სეპტიკის მოწყობით, ფასადის რეაბილიტაცია ლესილზე პლასტმასის ბადის გამოყენებით. წყლის გადამყვანების რეაბილიტაცია.
3	ქ. გორის №7 საჯარო სკოლის სკოლა	100,000	4,500	4.5%	სკოლის გარე კანალიზაციის მაგისტრალის ამოცვლა (60-70 მეტრი) შემობის სახურავის ნაწილობრივი შეცვლა
4	ოთარშენის საჯარო სკოლა	40,000	1,800	4.5%	სველი წერტილები, საწვიმარი ღარების მოწყობა
5	დიცის საჯარო სკოლა	80,000	3,600	4.5%	სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა
6	კარბის საჯარო სკოლა	30,000	1,350	4.5%	სველი წერტილების რეაბილიტაცია,
7	ახალხიზის (ბეთლემი) საჯარო სკოლა	50,000	2,250	4.5%	სველი წერტილების მოწყობა
8	ზეღდულეთის საჯარო სკოლა	30,000	1,350	4.5%	სველი წერტილების მოწყობა .
9	აძვის საჯარო სკოლა	110,000	4,950	4.5%	სან.კვანძების მიშენება
10	სათემოს საჯარო სკოლა	50,000	2,250	4.5%	სველი წერტილების მოწყობა (საწვიმარი ღარის მოწობა).

11	ზემო ხვითის საჯარო სკოლა	60,000	2,700	4.5%	(ახალი შენობა) შიდა რეაბილიტაცია და კომუნიკაციები
12	ქვემო ხვითის საჯარო სკოლა	100,000	4,500	4.5%	ელექტრო გაყვანილობის შეცვლა, სკოლის შენობაში სველი წერტილების მოწყობა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა შშმ მოსწავლისთვის
		810,000	36,450		

დანართი N2

ტექნიკური დავალება

1. შესავალი

დეტალური პროექტის მომზადება შემდგომში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

1.1 **პროექტის მოკლეაღწერა**

ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევაძიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიურ და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას.

მიმწოდებელი ვალდებულია:

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;

- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილიExcel ფაილში);
- **საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის უზრუნველყოს წინასწარი შეთანხმებები დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან.**

2. **დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება**

საჭიროების შემთხვევაში,საპროექტო მომსახურების პირველ ეტაპზე კონსულტანტმა (მიმწოდებელი) უნდა ჩაატაროს სარეაბილიტაციო არეალისსაველე საკვლევაძიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სხვა) სამუშაოები,მოახდინოს საველე მონაცემების კამერალური დამუშავება და არსებული მდგომარეობის შეფასება. აღნიშნული კვლევების საფუძველზე დაზუსტდება შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი, რომელიც განხილული და შეთანხმებული იქნება გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან (შემსყიდველი) და ასევე ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

სამუშაოების მეორე ეტაპზე კონსულტანტმა,კვლევითი სამუშაოების საფუძველზე მიღებული და შეთანხმებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, უნდა დაამუშაოს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია.

2.1 **წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია**

- ნახაზების უწყისი.
- განმარტებითი ბარათი.
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა.
- სიტუაციური გეგმა - შემსყიდველი
- ტერიტორიის ტოპოგეგმა
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.

- სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი.
- შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და ხარჯთაღრიცხვა.
- საჭიროების შემთხვევში გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დასკვნები.
- კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერილი უნდა იყოს კონსტრუქციული გადაწყვეტილებები
- სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები; სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, ტერიტორიის მომზადება, დროებითი შენობა-ნაგებობები და სხვა);
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა;
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით.

➢ **შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი თვითოეული დოკუმენტის წარმოდგენა უნდა მოხდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, კონკრეტული დოკუმენტის აუცილებლობიდან გამომდინარე.**

პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტები (უნდა დაერთოს საჭირო გაანგარიშებები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალადაა.შ.), მოცემული უნდა იყოს სარეაბილიტაციო ობიექტის ძირითადი გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით, გარემოსდაცვითი ნაწილი.
მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები,გაანგარიშებების მეთოდები.
ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის) ზოგადმითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.
პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.
მიმწოდებელმა (კონსულტანტი) შემსყიდველს უნდა გადასცეს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და სატენდერო მასალები დაბეჭდილი 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD ან ArchiCAD და PDF ფორმატში).

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება - შეთანხმებაში.

სამუშაოების დასრულებისას მიმწოდებელის მიერ საკუთარი ხარჯებით წარმოდგენილი იქნას სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო''-ს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო''-ს, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.